სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

ENERGO-PRO GEORGIA

დანართი 2

დადგენილება #ეპ. 0511-22
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

თბილისი 14 აპრილი 2022

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისია, კომისიის თავმჯდომარე ნინელი ბოჭორიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2022 წლის 14 აპრილი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

შპს ,,გომიმოტორსი''

მდებარე, იურიდიული მისამართი: ხაშურის რაიონი, სოფელი კოდისწყარო

საიდენტიფიკაციო კოდი #443861199

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი: ხაშური, სოფელი ოსიაური

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2022 წლის 01 აპრილს, ქ.ხაშურში, ოსიეურის მიმდებარე ტერიტორიაზე რეგისტრირებული აბონენტის შპს „გომიმოტორსი"-ს (აბონენტი №3810321090) აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას, დაფიქსირდა აბონენტის მხრიდან ელ. ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენის ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე 01.04.2022 წელს შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №A923276, ხოლო იმავე დღეს აღრიცხვის ჯგუფის უფროსის მალხაზ ალხაზიშვილის მიერ - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ას №009770. კომისიამ გამოიკვლია წარმოდგენილი დოკუმენტაცია. როგორც გამოირკვა, №3810321090 აბონენტის - შპს „გომიმოტორსი"-ს სახელზე რეგისტრირებული

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

მრიცხველი მ/წლის 20 იანვარს დავალიანების გამო გაითიშა ქსელიდან, (მრიცხველის ჩვენება 941), ხოლო აღრიცხვის კვანძის შემოწმების მომენტში დაფიქსირდა შპს „გომიმოტორსი"-ს მხრიდან ელ.ენერგიის მიწოდების თვითნებურად აღდგენისა და ელ.ენერგიის მოხმარების ფაქტი, რაც დადასტურდა მრიცხველის მომატებული ჩვენებით (944.2). აღნიშნული ქმედება სემეკის 28.06.21 №19 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" 33-ე მუხლის შესაბამისად, ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. შპს „გომიმოტორსი"-ს მიმართ 2022 წლის 12 აპრილს შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის №009770 ოქმს ხელი მოაწერა ობიექტის წარმომადგენელმა დავით ჩიტაძემ, რომელსაც იქვე გადაეცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მან ოქმში, ახსნა-განმარტების გრაფაში, აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და განმარტა, რომ დავალიანების გამო გათიშული იყო საწარმო და საჭიროებიდან გამომდინარე ჩართო თვითნებურად და მოიხმარდა ელ.ენერგიას.

შპს „გომიმოტორსი"-ს მიერ ელ.ენერგიის უკანონო მოხმარება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წლის 13 აპრილს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 01.04.2022 წლის №A923276 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, გადაღებულია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება შპს „გომიმოტორსი"-ს მიერ ელ.ენერგიის მოხმარება და აღრიცხვის წესების დარღვევა. ამასთან, ფაქტია, რომ ელ.ენერგიის თვითნებურად აღდგენა მხოლოდ აბონენტის ინტერესში შედის. საქმეში დევს დადასტურება, რომ შპს „გომიმოტორსი"-ს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა სხდომაზე შპს „გომიმოტორსის" წარმომადგენელი არ გამოცხადდა. გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებისა თუ სხდომის გადადების თაობაზე შპს „გომიმოტორსი"-ს წარმომადგენელს არანაირი განცხადებით კომისიისთვის არ მოუმართავს. ამდენად, კომისია უფლებამოსილია წარმომადგენლის დასწრების გარეშე განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი; ფოტოასალა: შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ჩაბარების დადასტურება), რომელთა მეშვეობითაც დგინდება შპს „გომიმოტორსი"-ს (ს/კ 443861199) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. დაცულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

.....

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველმა კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1 მუხლის პირველი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228^2-ე მუხლებით; 266-ე მუხლის მე-4 ნაწილით; სემეკის 12.08.10 #14 და 28.06.21 #19 დადგენილებით; ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 17.09.10 RU #2010009 წესით, სს ენერგო-პრო ჯორჯიას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 26.01.2022 OR #2022001 ბრძანებით და

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

ENERGO-PRO GEORGIA

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. შპს „გომიმოტორსი" (ს/კ 443861199) ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.

---

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას 15000 ლარის ოდენობით.

---

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯაროდ გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ.#19).

---

9. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებული მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:
ნინელი ბოჭორიშვილი